

საქართველოს ეროვნული ბანკი აცხადებს ვაკანსიას **შიდა აუდიტის სამსახურის უფროსი შიდა აუდიტორის თანამდებობაზე**.

შიდა აუდიტის სამსახური საქართველოს ეროვნული ბანკის სტრუქტურული ერთეულია, რომლის ძირითადი ამოცანაა დამოუკიდებელი და ობიექტური, მარწმუნებელი და საკონსულტაციო მომსახურების გაწევა, ორგანიზაციული მიზნების მიღწევაში დახმარება რისკის მართვის, შიდა კონტროლის სისტემების, კორპორაციული მმართველობის ეფექტიანი ფუნქციონირების ხელშეწყობით, არსებული პროცესებისა და ოპერაციების შეფასებისა და მათი სრულყოფისათვის რეკომენდაციების გაწევის გზით.

სამუშაოს სპეციფიკა:

პოზიცია მოიცავს მრავალმხრივ და საინტერესო გუნდურ სამუშაოს, რაც საშუალებას აძლევს დასაქმებულს სრულად წარმოაჩინოს და განავითაროს პროფესიული შესაძლებლობები, დამოუკიდებელი და ობიექტური, მარწმუნებელი და საკონსულტაციო მომსახურების გაწევის გზით, წვლილი შეიტანოს შიდა აუდიტის საქმიანობაში, რომელიც ორიენტირებულია ორგანიზაციის როგორც ბიზნეს, ასევე ინფორმაციული ტექნოლოგიების პროცესებისა და ოპერაციების გაუმჯობესებაზე, საქართველოს ეროვნული ბანკის სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების მიღწევის ხელშეწყობაზე.

მოვალეობები:

- ინფორმაციული ტექნოლოგიების სფეროს აუდიტის უნივერსის, აგრეთვე გრძელვადიანი/საორიენტაციო და მოკლევადიანი/წლიური გეგმების შემუშავებაში მონაწილეობა;
- შიდა აუდიტის პროცესის მოსამზადებელი სამუშაოების ორგანიზება, შესამოწმებელი ობიექტის წინასწარი შესწავლა, აუდიტის ჩასატარებლად საჭირო ინფორმაციისა და მასალების გამოთხოვა და თავმოყრა;
- ინფორმაციული ტექნოლოგიების აუდიტის უნივერსში შემავალი აუდიტის ობიექტისათვის დამახასიათებელი რისკებისა და კონტროლების, ასევე ინციდენტების გათვალისწინებით, აუდიტის პროგრამის შედგენა;
- ინფორმაციული ტექნოლოგიების აუდიტის უნივერსის ობიექტებთან დაკავშირებული არაიდენტიფიცირებული რისკებისა და შესაბამისი კონტროლების თაობაზე ინფორმაციის მოკვლევა, ანალიზი და გათვალისწინება აუდიტის პროგრამაში;
- ინფორმაციული ტექნოლოგიების აუდიტის უნივერსში შემავალი და შიდა აუდიტის სამუშაო გეგმით გათვალისწინებული აუდიტის განხორციელება:
 1. პროცესების თანმდევნი რისკების მართვის პროცესში გამოყენებული კონტროლების ეფექტურობის/ადეკვატურობის შეფასება,
 2. ორგანიზაციაში გამოყენებულ ძირითად სისტემებსა და აპლიკაციებზე დაშვების პოლიტიკებისა და პრაქტიკის შემოწმება,
 3. ინფორმაციული ტექნოლოგიების აუდიტის უნივერსში შემავალი პროცესების მოქმედ ინსტრუქციებთან შესაბამისობის ანალიზი,
 4. ორგანიზაციაში გამოყენებული ინფორმაციული სისტემების ადეკვატურობის შეფასება;
 5. სხვადასხვა აუდიტორული პროცედურების განხორციელება და ასახვა შიდა აუდიტისა და რისკების მართვის პროგრამულ უზრუნველყოფაში;
- ინფორმაციული უსაფრთხოების მართვის სისტემების აუდიტში მონაწილეობა (ISMS audit);

- არაგეგმიურ აუდიტში მონაწილეობა;
- შიდა აუდიტის შედეგების გათვალისწინებით, შესაბამისი ანგარიშის, დასკვნისა და რეკომენდაციების მომზადება და განხილვებში მონაწილეობა;
- ჩატარებული აუდიტის მასალებისა და დოკუმენტაციის სისტემატიზაცია;
- შიდა აუდიტის ფარგლებში გაწეული რეკომენდაციების პერიოდული მონიტორინგის განხორციელება, ინფორმაციის განახლება და ანგარიშგება;
- შიდა აუდიტის, ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და ინფორმაციული უსაფრთხოების სფეროში საერთაშორისო პროფესიული სტანდარტების (ISO 27001, COBIT 5), საუკეთესო გამოცდილების შესწავლა და გამოყენება;
- საჭიროებისამებრ, ცალკეული აუდიტის ობიექტებთან მიმართებაში, საკონსულტაციო მომსახურების გაწევა;
- შიდა აუდიტის სამსახურის მიერ გაწეული მომსახურების სათანადო ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით, შიდა აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების, სიახლეებისა და საუკეთესო პრაქტიკების შესწავლა და გამოყენება;
- შიდა აუდიტის სამსახურის მიერ ორგანიზებულ პრეზენტაციებში/სემინარებში მონაწილეობა;
- ავტომატიზირებული აუდიტის ტექნიკების გამოყენება.

აუცილებელი მოთხოვნები:

განათლება:

- უმაღლესი (სასურველია ეკონომიკურ, ფინანსურ, ან საინფორმაციო ტექნოლოგიების სფეროში);

სასურველია:

- აუდიტის მიმართულებით მუშაობის 1 წლის გამოცდილება.
- შემდეგი პოზიციებიდან ერთ-ერთზე მუშაობის მინიმუმ 1 წლიანი პროფესიული საქმიანობის გამოცდილება: ინფორმაციული ტექნოლოგიების შიდა აუდიტორი, ინფორმაციული სისტემის ინჟინერი, პროგრამული უზრუნველყოფის სპეციალისტი, ინფორმაციული უსაფრთხოების ოფიცერი, ინფორმაციული სისტემების აუდიტორი.
- თანამედროვე ორგანიზაციაში არსებული შიდა აუდიტის სამსახურის საქმიანობის სპეციფიკისა და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის ცოდნა;
- შიდა აუდიტის პროფესიული პრაქტიკის საერთაშორისო სტანდარტებისა და ეთიკის კოდების ცოდნა;
- თანამედროვე ორგანიზაციაში არსებული ინფორმაციული ტექნოლოგიების სისტემების ინფრასტრუქტურისა და მისი ცალკეული კომპონენტების დიზაინისა და ფუნქციების ცოდნა;
- ინფორმაციულ უსაფრთხოებასთან და ინფორმაციულ ტექნოლოგიებთან დაკავშირებულ საერთაშორისო სტანდარტებისა და საუკეთესო პრაქტიკების ცოდნა (ISO27001, ITIL, COBIT 5 და ა. შ.);
- შიდა აუდიტორთა ინსტიტუტის მიერ შემუშავებულ ტექნოლოგიური აუდიტის საერთაშორისო რეკომენდაციების ცოდნა (GTAG);

- ინფორმაციული სისტემების აუდიტისა და კონტროლის ასოციაციის (ISACA)-ს სერტიფიკატები, მათ შორის ინფორმაციული სისტემების აუდიტორის სერტიფიკატი (CISA);
- ინფორმაციული ტექნოლოგიების აუდიტში მუშაობის გამოცდილება;
- ინფორმაციული ტექნოლოგიების სფეროში გამოცდილება.

კომპეტენციები:

- იდეების დასაბუთება, დარწმუნება;
- გარე ან/და შიდა მომხმარებელის მომსახურებაზე ორიენტირებულობა;
- მოლაპარაკებების წარმართვა;
- წერილების, ანგარიშების, შეთავაზებების მომზადება;
- ანალიტიკური ანგარიშის მომზადება;
- კრიტიკული აზროვნება;
- დაგეგმვის და ორგანიზების უნარი;
- დამოუკიდებლად მუშაობა;
- გუნდური მუშაობა.

კომპიუტერული პროგრამები, ოპერაციული სისტემები

- Microsoft Office Word - კარგად
- Microsoft Office Excel - კარგად
- Microsoft Office PowerPoint - კარგად
- Microsoft Office Outlook - კარგად

უცხო ენები

- ინგლისური ენა - B1;
- რუსული ენა - B1

საკანონმდებლო ბაზა: „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი; „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონი; შიდა აუდიტის პროფესიული პრაქტიკის საერთაშორისო სტანდარტები და პროფესიული ეთიკის კოდექსი;

თანამდებობრივი სარგო: 2359 ლარი.

კონკურსის ფორმა:

კონკურსი ჩატარდება ინტერვიუს სახით.